ხელშეკრულება № 320
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(კონსოლიდირებული ტენდერი №**CON160000058**)

ქ. ბათუმი

„30"„დეკემბერი" 201წ

ერთი მხრივ, სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო შემდგომში – „შემსყიდველი", წარმოდგენილი მისი დირექტორის ნათია კაპანაძის სახით და მეორე მხრივ, ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია", შემდგომში – „მიმწოდებელი", წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ვასილ ხორავას, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 20[2] მუხლის, „ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 4 დეკემბრის №11 ბრძანების, „2017 წელს ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 ნოემბრის №2335 განკარგულებისა და „სუპერის" მარკის საწვავის 2017 წლის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის საფუძველზე,ვდებთწინამდებარეხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **გამოყენებული ტერმინების განმარტებები**

1.1 ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება (შემდგომში – ხელშეკრულება)– შემსყიდველსადა მიმწოდებელსშორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და ასევე იმ დოკუმენტებით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

ბ) „ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება"– საერთო თანხა (შესასყიდი საორიენტაციო რაოდენობა გამრავლებული 1 ლიტრი საწვავის <u>საკარაუდო ფასზე),</u> რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის.

გ) „დღე", „კვირა", „თვე"–კალენდარული დღე, კვირა, თვე.

დ) „შემსყიდველი"– ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

ე) „მიმწოდებელი"– პირი, რომელიც ახორციელებს საქონლისა და თანმდევი მომსახურების მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

ვ) „საქონელი"– ხელშეკრულების 2.1 პუნქტითგანსაზღვრულიშესყიდვის ობიექტი.

ზ)ავტორიზებული ავტომანქანა– შემსყიდველის ავტომანქანა, რომელშიც მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს „სუპერის"მარკისსაწვავისჩასხმა.

თ) ავტომანქანის გამართვისა და ავტომატური იდენტიფიცირების სისტემა (შემდგომში – აგაი სისტემა) – სისტემა/საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს ავტოგასამართი სადგურის პისტოლეტისა და ავტორიზებული ავტომანქანის საწვავის ავზის ერთმანეთთან დაკავშირება-იდენტიფიცირებას, რაც უზრუნველყოფს მიმწოდებლის ავტოგასამართ სადგურზე „სუპერის" მარკისსაწვავის ჩასხმას მხოლოდ ავტორიზებული ავტომანქანის საწვავის ავზში.

ი) სატენდერო დოკუმენტაცია – „სუპერის" მარკის საწვავის 2017 წლის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდეროდოკუმენტაცია.

2. **ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი**

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის მიერ „სუპერის" შესყიდვა ერთიანად ან ეტაპობრივად, 2017 წლის 31 მარტის ჩათვლით.

ხელშეკრულებით განსაზღვრულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს „სუპერის" მარკის საწვავი, რომლის საორიენტაციო მოცულობა შეადგენს 2295 (ორი ათას ორას ოთხმოცდათხუთმეტი) ლიტრს.

2.2 აგაი სისტემის დამონტაჟებამდე, „სუპერის" მარკისსაწვავისმიწოდება უნდა განხორციელდეს პლასტიკური ბარათების მეშვეობით.აგაი სისტემის დანერგვის შემდეგ, საწვავის შეძენა უნდა განხორციელდეს აგაი სისტემის საშუალებით, გარდა სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა. საწვავის

მიღებაგანხორციელდება ხელშეკრულების №3 დანართით (ავტოგასამართი სადგურების ან/და ნავთობბაზების ია) განსაზღვრულ ავტოგასამართ სადგურებზე ან/და ნავთობბაზებზე.

2.3 აგაის სისტემის გარეშე საწვავის შესყიდვა შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ სატენდერო კომისიის თანხმობის საფუძველზე, შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ გამონაკლის შემთხვევებში.

2.4ხელშეკრულებაში მითითებული შესასყიდი „სუპერის" მარკის საწვავისმოცულობა, ხელშეკრულების ღირებულება და ავტომანქანების რაოდენობა საორიენტაციო ხასიათისაა და შესაძლებელია შეიცვალოს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება შეადგენს 3947,40 (სამი ათას ცხრაას ორმოცდაშვიდი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარს.
საწვავის სახეობა, საორიენტაციო რაოდენობა, და ერთეულის ფასი მოცემულია დანართ №1-ში.
3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მისაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, მათ შორის, დღგ-ისა და საწვავის შენახვის ხარჯებს ავტოგასამართი სადგურიდან მის გაცემამდე.

4. შესყიდვის ობიექტის ფასის განსაზღვრა და ანგარიშსწორების პირობები

4.1 კონსოლიდირებულტენდერშიგამარჯვებულიპრეტენდენტისმიერდაფიქსირებულიყველაზედაბალისაბოლოოფასიდანგამოითვლება „Z" აშშდოლარში (ტრანსპორტირებასთან, ლოგისტიკასთანდაშენახვასთანდაკავშირებულიხარჯები, ზედნადებიხარჯები და საწარმოსმოგება) შემდეგიფორმულისმეშვეობით:

$$Z = (\frac{C_{bid} \cdot 1000}{D \cdot 1,18} - A_{nov}) \cdot \frac{1}{R_{nov}} - P_{nov}$$

რომელიც:

C_{bid} - ელექტრონულივაჭრობისშედეგადდაფიქსირებულისაბოლოოფასი 1 ლიტრ„სუპერის" მარკის საწვავზე (ლარში);

R_{nov} - აშშდოლართან მიმართებაში ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის 2016 წლისნოემბრისთვისსაშუალოარითმეტიკული;

D - მიმწოდებლისსატენდეროწინადადებითწარმოდგენილი„სუპერის" მარკისსაწვავის სიმკვრივისმაჩვენებელი (გრ/სმ^3);

P_{nov} - PLATTS EUROPEAN MARKETSCAN-ის FOB Med (Italy) ბირჟაზედაფიქსირებული (გამოქვეყნებული) საწვავის ერთიმეტრულიტონის 2016 წლისნოემბრისთვისსაშუალოარითმეტიკულიფასიაშშდოლარში (შემდგომში - პლაცისნიშნული);

A_{nov} - 2016 წლის ნოემბრის თვეში ერთ მეტრულ ტონა საწვავზე აქციზის ოდენობა ლარებში.

Z და D სიდიდეებიუცვლელია 2017 წლის 31 დეკემბრისჩათვლით.

4.2 მიმწოდებელიახორციელებსყოველიმიმდინარეკალენდარულითვისათვის 1 ლიტრი„სუპერის" მარკისსაწვავის ნომინალურიღირებულებისგანსაზღვრას (შემდგომში - ნომინალურიღირებულება - Cnom) შემდეგიფორმულისმეშვეობით:

$$C_{nom} = \frac{((P+Z)R+A)\cdot 1{,}18\cdot D}{1000}$$

სადაც, P და R წარმოადგენსმიმდინარესწინაკალენდარულითვისშესაბამისიმონაცემებისსაშუალოარითმეტიკულსიდიდეებს, A - მიმდინარეთვისთვისმოქმედერთმეტრულტონასაწვავზეაქციზისოდენობასლარებში, 18% - დღგ, ხოლო Z და D – 4.1 პუნქტითგათვალისწინებულგამარჯვებულისატენდეროწინადადებითწარმოდგენილუცვლელსიდიდეებს.

4.3 ნავთობპროდუქციის (საწვავის) სპეციფიურობიდანგამომდინარე, მისი ღირებულების საერთაშორისო სასაქონლო ბირჟაზე არსებულ ცვალებად ფასზე (P) ან/და აშშ დოლართან მიმართებაში ეროვნული ვალუტის ოფიციალური გაცვლით კურსზე (R) ან/და ერთ მეტრულ ტონა საწვავზე აქციზის ოდენობაზე დამოკიდებულების გამო, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველ ორგანიზაციას ყოველთვიურად წარუდგინოს ნომინალურ ღირებულებაზე დაყრდნობით გამოთვლილი მიმდინარეთვის განმავლობაშიმისაწოდებელისაქონლისერთეულისფასი (მიმდინარეთვისსახელშეკრულებოფასი - C_1).

4.4 2017 წლისიანვრისსახელშეკრულებოფასიგანისაზღვრებაელექტრონულივაჭრობისშედეგადდაფიქსირებული 1 ლიტრი„სუპერის“ მარკისსაწვავის საბოლოოფასის (C_{bid}) ტოლისიდიდით. ყოველიმომდევნოთვისსახელშეკრულებოფასიკიგამოითვლება 1 ლ. „სუპერის“ მარკის საწვავის ნომინალურ ღირებულებაზე დაყრდნობით, შემდეგიპრინციპისგათვალისწინებით:

ა) მიმწოდებელი, ითვალისწინებსრაპლაცისნიშნულის, აქციზისადასავალუტოკურსისცვალებადობას, ყოველიკალენდარულითვისპირველრიცხვში, განსაზღვრავს 1 ლიტრი„სუპერის“ მარკის საწვავის მიმდინარეთვისსახელშეკრულებოფასსშემდეგიპრინციპისმიხედვით: იმშემთხვევაში, თუ A-ს, P-სადა R-ისცვლილებაიწვევსფორმულითგაანგარიშებული 1 ლიტრი„სუპერის“ მარკის საწვავის ნომინალურიღირებულების (Cnom) სამზენაკლებიპროცენტულიოდენობითცვლილებასწინათვისსახელშეკრულებოფასთანმიმართებაში, მაშინმიმდინარეთვისსახელშეკრულებოფასიუდრისწინათვისსახელშეკრულებოფასს, ხოლოიმშემთხვევაშითუA-ს, P-სადა R-ისცვლილებაიწვევსფორმულითგაანგარიშებული 1 ლიტრი„სუპერის“ მარკის საწვავის ნომინალურიღირებულების (Cnom) სამიანმეტიპროცენტულიოდენობითცვლილებასწინათვისსახელშეკრულებოფასთანმიმართებაში, მაშინმიმდინარეთვისსახელშეკრულებოფასიუტოლდებაფორმულითგაანგარიშებულიმიმდინარეთვისნომინალურფასს.

ბ) სახელშეკრულებოფასისდადგენისასასევეგათვალისწინებულუნდაიქნასშემდეგიპრინციპი: იმშემთხვევაში, თუმიმწოდებლისსაცალორეალიზაციისქსელშიერთიილიტრი„სუპერის“ მარკის საწვავის საანგარიშოთვისსაშუალოარითმეტიკულიფასიწინაკალენდარულითვისშესაბამისმაჩვენებელზე 10%–ზე C1 (ასეულისზუსტით) მეტითშემცირებულია, მაშინმიმდინარეთვის უნდაიყოსმიმწოდებლისსაცალორეალიზაციისქსელშიერთიილიტრი„სუპერის“ მარკისსაწვავის საანგარიშოთვისსაშუალოარითმეტიკულოდენობაზემინიმუმ 10 თეთრით (0,10 ლარით) ნაკლები, ხოლოთუ 15%–ზემეტითშემცირებულია – მინიმუმ 5 თეთრით (0,05 ლარით) ნაკლები.

მაგალითი: მიმდინარეთვეარისმარტი, საანგარიშოთვეარისთებერვალი, ხოლოსაანგარიშოთვისწინათვეარისიანვარი. შესაბამისად, თუმიმწოდებლისსაცალორეალიზაციისქსელშითებერვლისთვეშიერთიილიტრისსაშუალოფასიიანვრისანალოგიურფასთანმიმართებაშიშემცირებულია 10%–ზემეტით, მაშინმარტისთვის C1 უნდაიყოსთებერვლისთვისსაშუალოარითმეტიკულფასზემინიმუმ 10 თეთრით (0,10 ლარით) ნაკლები, ხოლოთუ 15%–მეტითშემცირებულია – მინიმუმ 5 თეთრით (0,05 ლარით) ნაკლები.

4.5 მიმწოდებელსადაშემსყიდველორგანიზაციასშორისანგარიშსწორებახორციელდებამიმდინარეთვისსახელშეკრულებოფასისსაფუძველზედადგენილისაანგარიშსწორებოფასის (C_2) მიხედვით, უნაღდოფორმით, ეროვნულვალუტაშიდამოიცავსსაქართველოსკანონმდებლობითდადგენილყველაგადასახადს. საანგარიშსწორებო ფასი გამოქვეყნდებამიმწოდებლისადასახელმწიფოშესყიდვებისსააგენტოსვებ-გვერდზე.

4.6 ანგარიშსწორებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი გარემოებები:

ა) აგაი სისტემის ან/და საბარათე სისტემის მეშვეობით „სუპერის" მარკის საწვავის შესყიდვის შემთხვევაში, მიმწოდებელი ყოველთვიურად წარუდგენს შემსყიდველ ორგანიზაციას საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას მიმდინარე თვის განმავლობაში მიწოდებულ „სუპერის" მარკისსაწვავზე. ასეთი შესყიდვის შემთხვევაში, საანგარიშსწორებო ფასის განსაზღვრისას მხარეები ითვალისწინებენ შემდეგ გარემოებას: საანგარიშსწორებო ფასი მინიმუმ 15 თეთრით ნაკლები უნდა იყოს მიმდინარე თვის განმავლობაში მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული ერთი ლიტრი „სუპერის" მარკის საწვავის ფასების საშუალო არითმეტიკულ ოდენობაზე (C_{AV}).

მაგალითი: თუ (CAV)-0.15≥C1, საანგარიშსწორებოფასიუდრისთვისდასაწყისშიდადგენილსახელშეკრულებოფასს (C1), ხოლოთუ (CAV)-0.15<C1, მაშინ საანგარიშსწორებო ფასი უდრის ((CAV)-0.15) ტოლ სიდიდეს.

ბ) არასაბარათე (ტალონის) სისტემით„სუპერის" მარკისსაწვავის შესყიდვისას, მიმწოდებელიშემსყიდველორგანიზაციასწარუდგენსთითოეულჯერზეგასატანი„სუპერის" მარკისსაწვავის საწვავისგატანისდღეს. მიხედვითგამოწერილანგარიშ-ფაქტურას, საანგარიშსწორებოფასიგამოითვლებანომინალურღირებულებაზედაყრდნობითგანსაზღვრულისაანგარიშსწორებ ოფასისმიხედვით, რომელიცუნდაიყოსსაწვავისმოთხოვნისდღისათვისმიმწოდებლისსაცალორეალიზაციისქსელშიარსებულფასზემ ინიმუმ 15 თეთრითნაკლები.

4.7 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. არასაბარათე, საბარათე და აგაი სისტემის მეშვეობით „სუპერის" მარკის საწვავის მიწოდებისას ანგარიშსწორება განხორციელდება ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

4.8 2017 წლის დეკემბრის განმავლობაში მიწოდებულ საწვავზე ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული პროცედურები შესაძლებელია განხორციელდეს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

4.9„სუპერის" მარკის საწვავის სითხის სახით შესყიდვის შემთხვევაში, მხარეები ვხელმძღვანელობთ სატენდერო დოკუმენტაციებში არსებული მითითებებით.

4.10 მიმწოდებელმა თავის ვებგვერდზე უნდა განათავსოს ინფორმაცია მის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული 1 ლიტრი „სუპერის" მარკის საწვავის ყოველდღიური ფასის შესახებ იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადაში თითოეული დღის ფასის ნახვა.

4.11 იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს შორის არ ხორციელდება დამატებითი შეთანხმებების სახით მიმდინარე სახელშეკრულებო ფასის ყოველთვიურად ასახვა, ანგარიშსწორების განხორციელებისას ხელშეკრულების მხარეები ხელმძღვანელობენ 4.5 პუნქტით განსაზღვრული მიმწოდებლის ოფიციალურ ვებგვერდზე საანგარიშსწორებო ფასით.

4.12 მიმწოდებელი პასუხისმგებელია საწვავის ფასთან დაკავშირებით მის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე.

5. შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულებების ძირითადი პირობები, მხარეთა უფლებები და ურთიერთვალდებულებები

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) (გარდა შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა) კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში ავტოგასამართი სადგურებიდან „სუპერის“ მარკისსაწვავის გაცემა განახორციელოს მხოლოდ „აგაი“ სისტემის მეშვეობით. „აგაი“ სისტემა უზრუნველყოფს ავტოგასამართი სადგურის პისტოლეტისა და ავტორიზებული ავტომანქანის საწვავის ავზის ერთმანეთთან დაკავშირებასა და იდენტიფიცირებას, რის შედეგადაც მიმწოდებლის ავტოგასამართ სადგურზე „სუპერის“ მარკისსაწვავის ჩასხმა შესაძლებელი იქნება მხოლოდ ავტორიზებული ავტომანქანის საწვავის ავზში.

ბ) 2017 წლის 1-ლი იანვრიდან ეტაპობრივად, მაგრამ არაუგვიანეს 2017 წლის 1-ლი მაისისა, უზრუნველყოს იმ შემსყიდველი ორგანიზაციების ბალანსზე მყოფი, დანართი N2 -ით განსაზღვრული ავტომანქანების (ავტორიზებული ავტომანქანების) აღჭურვა „აგაი“ სისტემით.

გ) იმ შემთხვევაში, თუ „სუპერის“ მარკის საწვავის 2017 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში გაიმარჯვა „სუპერის“ მარკისსაწვავის 2016 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულმა მიმწოდებელმა, რომელსაც 2016 წლის კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში უკვე დანერგილი აქვს „აგაი“ სისტემა, 2017 წლის 1-ლი იანვრიდან, „სუპერის“ მარკისსაწვავის მიწოდება განახორციელოს 2016 წლის კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში დამონტაჟებული „აგაი“ სისტემის მეშვეობით. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ 2017 წლის ფარგლებში დაემატა აგაი სისტემით აღსაჭურვი ავტომანქანების რაოდენობა, ყველა მათგანი აღჭურვოს, არაუგვიანეს 2017 წლის 31 იანვრისა.

დ) შემსყიდველი ორგანიზაციისაგან შესაბამისი განაცხადის მიღების შემდეგ, ავტორიზებული ავტომანქანების რაოდენობიდან გამომდინარე, გონივრულ ვადაში, უსასყიდლოდ აღჭურვოს შემსყიდველი ორგანიზაციის ყველა ავტორიზებული ავტომანქანა „აგაი“ სისტემით.

ე) აგაი სისტემის მონტაჟისა და დემონტაჟის პროცესის სწრაფად და ეფექტიანად წარმართვის მიზნით, არ შეაფერხოს აღნიშნული პროცესი.

ვ) აგაი სისტემის კომპონენტების მონტაჟის ან/და დემონტაჟის პროცესის რაიმე მიზეზით შეფერხების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს სატენდერო კომისიას.

ზ) „აგაი“ სისტემის დამონტაჟებამდე, ხელშეკრულების დადებიდან ეტაპობრივად, მაგრამ არაუგვიანეს 2017 წლის 31 იანვრისა, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველი ორგანიზაცია ბარათებით. „აგაი“ სისტემის დანერგვის შემდგომ, „სუპერის“ მარკის საწვავის მიწოდება განახორციელოს აღნიშნული სისტემის მეშვეობით, გარდა შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საწვავის აგაი სისტემის გარეშე შესყიდვაზე სატენდერო კომისიის შესაბამისი ნებართვის წარდგენის შემთხვევებისა.

თ) არაუგვიანეს 2018 წლის 31 იანვრისა, საკუთარი ხარჯებით მოახდინოს შემსყიდველის ავტორიზებულ ავტომანქანაზე დამონტაჟებული აგაი სისტემის კომპონენტების დემონტაჟი.

ი) შემსყიდველის მიერ ავტოგასამართ სადგურზე პლასტიკური ბარათის ან ტალონის წარდგენისთანავე ან „აგაი“ სისტემის შემთხვევაში– ავტოგასამართ სადგურებზე ავტორიზებული ავტომანქანის მისვლისთანავე უზრუნველყოს ავტომანქანის გამართვა შესაბამისი საწვავით (საწვავის გაცემისას ხურდის სახით თანხის ან ტალონის დაბრუნება არ დაიშვება).

კ)წარუდგინოს ანგარიშ-ფაქტურა შემსყიდველს შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ ვადებში.

ლ) სათანადო გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით ითანამშრომლოს შემსყიდველთან, განიხილოს მისი მოსაზრებები, პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე.

მ) უზრუნველყოს შემსყიდველთან გაფორმებული ხელშეკრულებით და ამ სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება.

ნ) არ განახორციელოს საწვავის შემსყიდველისათვის მიწოდება აგაი სისტემის გარეშე, შემსყიდველის მიერ სატენდერო კომისიის მიერ გაცემული შესაბამისი ნებართვის წარდგენის გარეშე.

5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) შემსყიდველს შეუჩეროს საწვავის მიწოდება, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ 4.7 პუნქტით გათვალისწინებული გადახდის ვადები იქნება დარღვეული.

ბ) უზრუნველყოს საწვავის გაცემა მხოლოდ ხელშეკრულების №3 დანართით, გათვალისწინებულ ავტოგასამართ სადგურებზე, მიუხედავად მიმწოდებლის სასაქონლო ნიშნისა.

გ) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება.

5.3 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) შემსყიდველიორგანიზაციისავტოპარკისშემადგენლობაშისანომრენიშნებისან სხვა რაიმე ცვლილებისშემთხვევაში, აღნიშნულიცვლილებისშესახებდაუყოვნებლივაცნობოსმიმწოდებელს, რათამიმწოდებელმადროულადუზრუნველყოსაგაისისტემასთანანპლასტიკურბარათებთანდაკავშირებულიშესაბ ამისიღონისძიებები.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი ტიპის საწვავის 2018 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულად არ გამოვლინდა 2017 წლის შესაბამისი ტიპის საწვავის ტენდერში გამარჯვებული კომპანია,2018 წლის 1-ლიიანვრიდანმიმწოდებელთანწინასწარშეთანხმებულგონივრულვადაშიგანახორციელოსშესაბამისიღონისძიებებ იმისავტორიზებულავტომანქანაზედამონტაჟებული „აგაი“ სისტემისკომპონენტისმიმწოდებლისთვისუკანდაბრუნებისმიზნით.

გ) აგაი სისტემის კომპონენტების დაზიანების შემთხვევაში ან მიმწოდებლისათვის უკან დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს აუნაზღაუროს აღნიშნული კომპონენტის საინვოისო ღირებულება.

დ) აგაი სისტემის კომპონენტების მონტაჟის ან/და დემონტაჟის პროცესის რაიმე მიზეზით შეფერხების შემთხვევაში,დაუყოვნებლივ აცნობოს სატენდერო კომისიას.

ე) აგაი სისტემის მონტაჟისა და დემონტაჟის პროცესის სწრაფად და ეფექტიანად წარმართვის მიზნით, დროულად მიმართოს მიმწოდებელს აგაი სისტემის დამონტაჟებისა და დემონტაჟის მოთხოვნით.

ვ) შემსყიდველიორგანიზაციავალდებულიასათანადოგულისხმიერებითადაპასუხისმგებლობითითანამშრომლოსმიმწოდებელთან (მაგ. გამოყოსუფლებამოსილიწარმომადგენელი, შეათანხმოსვადებიდაავტორიზებულიავტომანქანებისრაოდენობა, რიგითობადასხვასაკითხები) „აგაი“ სისტემისმონტაჟისადადემონტაჟისპროცესისსწრაფადდაეფექტურადწარმართვისმიზნით.

ზ) უზრუნველყოს ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება4.7 პუნქტით დადგენილი ვადებისა და პირობების შესაბამისად.

თ) სათანადო გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით ითანამშრომლოს მიმწოდებელთან, განიხილოს მისი მოსაზრებები, პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე.

ი) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება).

კ) შეასრულოს ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით მასზე დაკისრებული ვალდებულებები.

ლ) საწვავის აგაი სისტემის გარეშე შესყიდვის შემთხვევაში წარუდგინოს მიმწოდებელს სატენდერო კომისიის მიერ გაცემული შესაბამისი ნებართვა.

5.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება.

ბ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმართოსკონსოლიდირებულიტენდერისსატენდეროკომისიასხელშეკრულებისშეწყვეტისსაკითხისგადაწყვეტის მიზნით.

5.5 კონსოლიდირებულ ტენდერში მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე „სუპერის" მარკის საწვავის მიწოდება განხორციელდება 2017 წლის 1-ლი იანვრიდან 2017 წლის 31 მარტის ჩათვლით.

6. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელის შემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ერთმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1 მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობითა და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

7.2 კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიისაგან ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ რეკომენდაციის მიღების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, რის შედეგადაც მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ საჯარიმო თანხის გადახდა, რომელიც გამოითვლება
კონსოლიდირებულტენდერშიელექტრონულივაჭრობისდასრულებისდღესმიმწოდებლისსაცალორეალიზაციისქ
სელშიარსებული 1 ლიტრი„სუპერის" მარკის საწვავის
ფასისადაელექტრონულივაჭრობისშედეგადდაფიქსირებულისაბოლოოფასისსხვაობისგამრავლებითხელშეკრულ
ებითშესასყიდი (დარჩენილი)„სუპერის" მარკის საწვავის საორიენტაციომოცულობაზე.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა

წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან/და დამატებისშეტანა ხორციელდება მხარეთა შორის შეთანხმებით, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.
თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულებაში ცვლილების ან/და დამატების შეტანის აუცილებლობა, ცვლილებების ან/და დამატების შეტანის ინიციატორი ვალდებულია, წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ამის შესახებ.

9. ხელშეკრულებისშეწყვეტა

9.1 ხელშეკრულება წყდება ავტომატურად ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვისთანავე.

9.2 წინამდებარე ხელშკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:

ა) ორმხრივი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, სატენდერო კომისიის რეკომენდაციით.
ბ) ცალმხრივად, სატენდერო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, თუ მეორე მხარე არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის თაობაზეც მას წერილობით მიეცა გაფრთხილება და დარღვევის გამოსასწორებლად განესაზღვრა დამატებითი ვადა არანაკლებ 5 დღის ოდენობით. ამასთან, დამატებითი ვადა შეიძლება არ მიეცეს, თუკი აშკარაა, რომ მას შედეგი არ ექნება ან ვალდებულებისარაჯეროვნად შესრულების გამო შეწყვეტის ინიციატორ მხარეს ხელშეკრულების საგნისადმი ინტერესი ეკარგება.

9.3 ხელშეკრულების შეწყვეტა (მათ შორის, ვადის გასვლის გამო შეწყვეტა) არ ათავისუფლებს მხარეებს იმ ვალდებულებების შესრულებისაგან, რომლებიც ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოიშვა.

10. დავების გადაწყვეტა

ხელშეკრულებისმოქმედებისპერიოდშიშემსყიდველსადამიმწოდებელსშორისწარმოშობილიყველადავაუნდაგად აიჭრასურთიერთმოლაპარაკებისგზითანსაქართველოსკანონმდებლობითდადგენილიწესით.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედებს დასრულებისთანავე.

11. 3 თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 30 დღეზე მეტ ხანს, მხარეს უფლება აქვს, სატენდერო კომისიის თანხმობით, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

წინამდებარე ხელშეკრულების 4.8 პუნქტი ძალაშია 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

13. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთიეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი– შემსყიდველს.

14. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზია და რადიო
მის:ქ. ბათუმი, მ. აბაშიძის ქ. #41
ს/კოდი: 245675880

ნ. კაპანაძე

მიმწოდებელი:

ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“
მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #74ბ
ს/ს „თიბისი ბანკ“
ბანკის კოდი:TBCBGE22
ა/ა:GE48TB1100000018467453
ს/კოდი: 202161098

ბათუმის სერვის ცენტრის ხელმძღვანელი
რ. ხინთიბიძე

დანართი №1

2016 წლის "30" დეკემბერი

#	საქონლის დასახელება	საქონლისძირითადიმახასიათებლები	წარმოშობის ქვეყანა	საორიენტაციორაოდენობა	ერთეულ ისფასი	საერთოსაორიენტაციოღირებულება	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადები
1	„სუპერი" („ეკო სუპერი")	*RON 98*	საბერძნეთი	*2295*	*1,72*	*3947,40*	ავტოგასამართისადგურებითანდართულისიისმიხე	01.01.2017-დან 31.03.2017 ჩათვლით

შემსყიდველი:

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზია და რადიო
მის:ქ. ბათუმი, მ. აბაშიძის ქ. #41
ს/კოდი: 245675880

ნ. კაპანაძე

მიმწოდებელი:

ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"
მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #74ბ
ს/ს „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი:TBCBGE22
ა/ა:GE48TB1100000018467453
ს/კოდი: 202161098

ბათუმის სერვის ცენტრის ხელმძღვანელი
რ. ხინთიბიძე

დანართი №2

ავტომანქანების მონაცემები და საწვავის ლიმიტები (ლიმიტების მოცულობა საორიენტაციო ხასიათს ატარებს და შესაძლებელია შეიცვალოს მხარეთა მიერ ურთიერთშეთანხმებული წესით, კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით და არ საჭიროებს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანას)

№	სატრანსპორტო საშუალებების მარკა, სახ#		საწვავის ერთი თვის ლიმიტი (ბენზინი)	საწვავის სამი თვის ლიმიტი
1	სუზუკი სვიფტი	SG 547 GS	255	765
2	ჰონდა CRV	PCP 655	255	765
3	მაზდა დემიო	SG 295 GS	255	765
			სულ:	2295

შენიშვნა: ორგანიზაცია ისარგებლებს ნომრიანი პლასტიკური ბარათებით 27.12.2016 წლის №4935 ნებართვის შესაბამისად. პლასტიკური ბარათები დასამზადებელი არ არის.

შემსყიდველი:

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზია და რადიო
მის:ქ. ბათუმი, მ. აბაშიძის ქ. #41
ს/კოდი: 245675880

ნ. კაპანაძე

მიმწოდებელი:

ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“
მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #74ბ
ს/ს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი:TBCBGE22
ა/ა:GE48TB1100000018467453
ს/კოდი: 202161098

ბათუმის სერვის ცენტრის ხელმძღვანელი
რ. ხინთიბიძე

დანართი №3

აგს-ების და ნავთბაზების ჩამონათვალი.

ვისოლპეტროლიუმჯორჯიასავტო-გასამართისადგურებისდა ნავთობ ბაზების ქსელი – კონსოლიდირებულიტენდერი 2017

N	აგს	რეგიონი	მისამართი
1	აგურები	თბილისი	ქ.თბილისი, ხეთაგუროვისქ. (ბარათაშვილისხიდდთან)
2	ნახალოვკა	თბილისი	ქ.თბილისი, ც. დადიანისქ. № 128 (სპორტკოლა "მართვე"-სმიმდებარედ)
3	მელაანი	თბილისი	ქ.თბილისი, მელაანის (ჯ.ბუშის) ქ. 64, აეროპორტისგზატკეცილი
4	ზოოპარკი	თბილისი	ქ.თბილისი, კოსტავასქ. №68 (ზოოპარკისმიმდებარედ)
5	ქავთარაძე	თბილისი	ქ.თბილისი, ქავთარაძისქუჩა 1/4
6	ვაკე	თბილისი	ქ.თბილისი, თამარაშვილისქუჩის გაყოფიზოლი
7	დიდიდიღომი	თბილისი	ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლისხეივნისმე-10 კმ. ("გუდვილთან")
8	კავსაძე	თბილისი	ქ.თბილისი, მტკვრისმარჯვენასანაპირო (საქანელასქუჩასთან)
9	დიღმისმასივი	თბილისი	ქ.თბილისი, საქართველოსსამხედროგზა, მიქელაძისადაახმეტელისქუჩებსშორის
10	მე-13 კმ	თბილისი	ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლისხეივნისმე-13 კმ.
11	მუხიანი	თბილისი	ქ.თბილისი, გობრონიძისქ. №4
12	მე-9 კილომეტრი	თბილისი	ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლისხეივნისმე-9 კმ.
13	აეჭალა 1	თბილისი	ქ.თბილისი, სარაჯიშვილისგამზ. ღვინისქარხნისმიმდებარედ
14	შარმინი	თბილისი	ქ.თბილისი, ვეკუასქუჩა 1, მ. ახმეტელისმიმდებარედ
15	ლილო	თბილისი	ქ.თბილისი, კახეთისგზატკეცილი, ცეკავშირისუნივერს. ბაზისტერიტორიისაღოსავლეთით

16	პეპელა	თბილისი	ქ.თბილისი, კახეთისგზატკეცილი, კოსმონავტებისძეგლისდასაწყისი
17	ნუცუბიძე	თბილისი	ქ.თბილისი, ნუცუბიძისქუჩა N 60
18	გოგილო	თბილისი	ქ.თბილისი, მტკვრისმარცხენასანაპირო, გოგილოსაბანოსმიმდებარედ
19	ქუთაისი 1 / 31 აგს	იმერეთი	ქუთაისში- ჭავჭავაძისადანიკიასქუჩისკვეთაზე
20	ქუთაისი 3 (ზასტავა)	იმერეთი	ქ. ქუთაისი, შარტავასქ 12 დაზ.გასახურიასგამზირზე
21	გრიშაშვილი	იმერეთი	ქ.ქუთაისი, გრიშაშვილისქუჩა
22	ბათუმი–აეროპორტი	აჭარა	ქ.ბათუმი, აეროპორტისგზატკეცილი #183
23	ბათუმი 3	აჭარა	ქ.ბათუმი, ტბელაბუსერიძის 24 (ლუდისქარხანასთან)
24	ბათუმი - პუშკინი	აჭარა	ქ.ბათუმი, პუშკინისა(77) დააბაშიძისქუჩების(51) გადაკვეთა
25	ზუგდიდი 2	სამეგრელო	ქ.ზუგდიდი, რუსთაველის #167;
26	ფოთი 1	სამეგრელო	ქ.ფოთი, სამეგრელოსმოედანი
27	სენაკი	სამეგრელო	ქ. სენაკი, მშვიდობისქუჩა 168
28	ქობულეთი	აჭარა	ქ.ქობულეთი, რუსთაველისქ. 26
29	გორიტინისხიდი	აღმოსავლეთი	გორისრაიონი, სოფელიტინისხიდი (ჩქაროსნულავტომაგისტრალზე)
30	თელავი 2	კახეთი	ქ. თელავი, დ. აღმაშენებლისგამზ.
31	ყვარელი	კახეთი	ქ. ყვარელი, ჭავჭავაძისქუჩა 43
32	ახალციხე-2	აღმოსავლეთი	ქ.ახალციხე, თამარაშვილის N 1
33	მუშტაიდი	თბილისი	ქ.თბილისი, მარცხენასანაპირო (მუშტაიდისბაღთან)
34	რუსთავი	აღმოსავლეთი	ქ.რუსთავი, ჟიულიშარტავას #4-ისმიმდებარედ
35	გორი	აღმოსავლეთი	ქ.გორი, გორი-ცხინვალისგზატკეცილი 22
36	სამტრედია	იმერეთი	ქ.სამტრედია, რესპუბლიკისქუჩა #8
37	სიღნაღი	კახეთი	ქ.სიღნაღი, ეკაბეჟანიშვილის #24
38	საჩხერე	იმერეთი	სოფ.სხვიტორი, თამარმეფის 19

39	ბათუმი (ხელვაჩაური)	აჭარა	ქ.ბათუმი, ფრიდონხალვაშისგამზ #308
40	ფოთი 2	სამეგრელო	ქ.ფოთი, კოკაიასხეივანი
41	ბათუმი 2	აჭარა	ქ.ბათუმი, თამარმეფისგამზირი
42	ზესტაფონი	იმერეთი	ქ.ზესტაფონი, საქარხნოსადასტაროსელსკაიას ქუჩებისგადაკვეთა
43	მარნეული	აღმოსავლეთი	ქ.მარნეული, 26 მაისისქუჩა
44	ჩოხატაური	გურია	ქ.ჩოხატაური, 9 მაისისქუჩა
45	გუდაური	აღმოსავლეთი	ყაზბეგისრაიონი, დაბაგუდაური
46	ბაზა #1	თბილისი	აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია
47	ბაზა #2	სა,ტრედია	ამირან ბახტაძის პირველი ჩიხი № 23

საწვავის მიწოდების პირობები

1.1 შემსყიდველის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის წერილობითი შეკვეთისა და წინამდებარე დანართის 1.5 პუნქტით დადგენილი პროცედურების დაცვით, მიმწოდებელი დაამზადებს და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცემს შემსყიდველს (სპეციალური მინდობილობით აღჭურვილ პირს) შეძენილი საწვავის ტალონებს ლიტრობრივ ერთეულებში (10 და 20 ლიტრიანი ტალონის ნომინალებით). ტალონების გადაცემის შემდეგ მათი დაკარგვის, დაზიანების ან განადგურების რისკი გადადის შემსყიდველზე, ამასთან, უკვე გადაცემული ტალონები არ ექვემდებარება დაბრუნებას ან სხვა სახეობის საწვავის ტალონებზე გადაცვლას. ტალონზე აღნიშნული უნდა იყოს:

- მიმწოდებლის ლოგო წარწერით „ვისოლი";
- ტალონის ნომერი;
- საწვავის სახეობა;
- საწვავის რაოდენობა.

შემსყიდველისათვის გადაცემული ტალონები გააქტიურდება და მათი გამოყენება შესაძლებელი იქნება მხარეთა შორის ტალონების გადაცემის თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) საათის გასვლის შემდეგ. ტალონების დაკარგვის შემთხვევაში, თუკი შემსყიდველი გონივრულ ვადაში სამუშაო საათებში აცნობებს მიმწოდებელს დაკარგვის შესახებ წერილობით და მიუთითებს დაკარგული ტალონების ნომრებს, მიმწოდებელი უზრუნველყოფს აღნიშნული ტალონების დაბლოკვას, მათი შემდგომი გამოყენების თავიდან აცილების მიზნით. ამასთან, შემსყიდველს არ აქვს უფლება მოითხოვოს დაკარგული ტალონების სანაცვლოდ ახალი ტალონების ან/და საწვავის გაცემა. დაკარგული ტალონების პოვნის შემთხვევაში, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, მიმწოდებელი უზრუნველყოფს ტალონების აღდგენას (ბლოკირების მოხსნას).

1.2 მიმწოდებელი ვალდებულია ტალონის ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენისთანავე გამართოს ავტომანქანა და/ან ჭურჭელი ტალონში აღნიშნული საწვავის ხარისხითა და რაოდენობით. საწვავის გაცემა ხდება ტალონის წარმომდგენ ნებისმიერ პირზე.

1.3 ავტოგასამართ სადგურზე ტალონების წარმოდგენისთანავე შემსყიდველი ან მისი წარმომადგენელი ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი ტევადობების ან/და ჭურჭლის წარმოდგენა. ტალონებზე საწვავის გაცემისას ტალონის ნაწილობრივი განაღდება ან/და ხურდის დაბრუნება არ დაიშვება.

1.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია დროებით (არაუმეტეს 1,5 საათისა) შეაჩეროს საწვავის გაცემა ამა თუ იმ ავტოგასამართ სადგურზე საწვავის მიღების დროს და მიღების შემდეგ, რათა უზრუნველყოფილ იქნას პერსონალის და მომხმარებლების უსაფრთხოება და საწვავის სათანადო ხარისხი.

1.5 შემსყიდველის წერილობითი შეკვეთიდან ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში მიმწოდებელი გამოუწერს შემსყიდველს ელექტრონულ ნავთობპროდუქტების სპეციალურ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას (შემდგომში - „ენსაფ") მოთხოვნილი რაოდენობისა და სახეობის საწვავზე. შემსყიდველი ვალდებულია საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით ასევე ელექტრონულად მოახდინოს „ენსაფ"-ის დადასტურება. „ენსაფ"-ის დადასტურების შემდეგ შემსყიდველის უფლებამოსილ წარმომადგენელს მიღება-ჩაბარების აქტით გადაეცემა მოთხოვნილი რაოდენობისა და სახეობის საწვავის ტალონები (მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ „ენსაფ"-ის დადასტურების დღესვე მოამზადოს ტალონები შემსყიდველისათვის გადასაცემად). მხარეები აღიარებენ, რომ შემსყიდველის მიერ „ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურების მომენტიდან „ენსაფ"-ით გათვალისწინებული საწვავი ითვლება შემსყიდველის მიერ შეძენილად და შემსყიდველს არა აქვს უფლება სადავო გახადოს ამ საწვავის შეძენის ფაქტი, აგრეთვე ზემოთხსენებულ „ენსაფ"-ში დაფიქსირებული საწვავის სახეობა, რაოდენობა, ფასი და სხვა არსებითი პირობები. ამასთან, შემსყიდველს არც ერთი საფუძვლით არ შეუძლია სადავო გახადოს მისი მხრიდან შესაბამისი „ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურების ფაქტი, ვინაიდან შესაბამის ელექტრონულ საშუალებებთან წვდომა გააჩნია მხოლოდ

შემსყიდველს, „ენსაფ“-ის ელექტრონულად დადასტურების პროცესი არ კონტროლდება მიმწოდებლის მიერ და შემსყიდველი თავად განსაზღვრავს იმ პირის ვინაობას, რომელიც უშუალოდ მოახდენს შემსყიდველის მხრიდან „ენსაფ“-ის ელექტრონულად დადასტურებას.

2. პლასტიკური ბარათების სისტემით საწვავის მიწოდება მოხდება შემდეგი წესით:

2.1 შემსყიდველის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის წერილობითი შეკვეთიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, მიმწოდებელი თავის ვებ-გვერდზე გაუხსნის შემსყიდველს სპეციალურ ანგარიშს და უზრუნველყოფს შემსყიდველის მიერ შეძენილი საწვავის ჩარიცხვას აღნიშნულ ანგარიშზე, პლასტიკურ ბარათებზე საწვავის შემდგომი განაწილების მიზნით. სპეციალურ ანგარიშზე საწვავის ჩარიცხვის შემდეგ შემსყიდველს უფლება აქვს ანგარიშზე არსებული ნაშთის ფარგლებში შეუზღუდავად, თავისი შეხედულებისამებრ, მოახდინოს აღნიშნული საწვავის გადანაწილება მის კუთვნილ ერთ ან რამოდენიმე პლასტიკურ ბარათზე ინტერნეტით, მიმწოდებლის ვებ-გვერდის საშუალებით, შემსყიდველის საიდენტიფიკაციო სახელისა და პაროლის გამოყენებით. ცალკეულ ავტომანქანაზე ლიმიტის დაწესებასა და მის განხორციელებასთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება მხოლოდ შემსყიდველს.

2.2 სპეციალურ ანგარიშზე საწვავის ჩარიცხვის შემდეგ საწვავი არ ექვემდებარება დაბრუნებას ან სხვა სახეობის საწვავზე გადაცვლას, ხოლო პლასტიკური ბარათის/ბარათების დაკარგვასთან, დაზიანებასთან ან განადგურებასთან დაკავშირებული ყოველგვარი რისკი გადადის შემსყიდველზე.

2.3 შემსყიდველის პირველად საიდენტიფიკაციო სახელსა და პაროლს მიმწოდებელი მიღება-ჩაბარების აქტით დალუქული კონვერტით გადასცემს შემსყიდველის უფლებამოსილ წარმომადგენელს და ამავდროულად უტარებს შესაბამის ინსტრუქტაჟს საიდენტიფიკაციო სახელისა და პაროლის შეცვლისა და გამოყენების წესების შესახებ. შემსყიდველი ვალდებულია ანგარიშის პირველ გამოყენებამდე და პლასტიკურ ბარათებზე საწვავის გადატანამდე შეცვალოს მიმწოდებლის მიერ გადაცემული პაროლი და შემდგომში გამოიყენოს მხოლოდ მის მიერ შექმნილი ახალი პაროლი. პირველადი საიდენტიფიკაციო სახელისა და პაროლის შემსყიდველის წარმომადგენლისათვის გადაცემისთანავე ყოველგვარი პასუხისმგებლობა და რისკი საიდენტიფიკაციო სახელისა და პაროლის არასანქციონირებულ გამოყენებაზე, ელექტრონული ანგარიშიდან პლასტიკურ ბარათებზე საწვავის უნებართვო გადატვირთვაზე და სხვა მსგავს შემთხვევებზე, აგრეთვე ამით გამოწვეულ ნეგატიურ შედეგებზე, გადადის შემსყიდველზე.

2.4 საწვავის გაცემა მოხდება პლასტიკური ბარათის წარმომდგენ ნებისმიერ პირზე. შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე შესაძლებელია პლასტიკურ ბარათზე კონკრეტული ავტომანქანის სახელმწიფო ნომრის და სერიის გამოსახვა. ასეთი ბარათის ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენისას, საწვავის ჩასხმა მოხდება მხოლოდ ბარათზე აღნიშნული სახელმწიფო ნომრის და სერიის მქონე ავტომანქანის ავზში, ხოლო ნებისმიერი სახის დამატებით ტევადობებში (ჭურჭელში) ან სხვა ავტომანქანის ავზში საწვავის ჩასხმა არ განხორციელდება.

2.5 პლასტიკური ბარათი ადასტურებს მისი წარმომდგენლის უფლებას ავტოგასამართ სადგურზე მიიღოს ბარათზე ჩატვირთული შესაბამისი საწვავი. პლასტიკური ბარათის დაკარგვის შემთხვევაში მისი ბლოკირების ვალდებულება შესაძლო ნეგატიური შედეგების თავიდან აცილების მიზნით ეკისრება თავად შემსყიდველს, რომელმაც უნდა მოახდინოს ბლოკირება თავისივე cards.wissol.ge-ზე სპეციალური ანგარიშის გამოყენებით საკუთარი ვებ-კაბინეტიდან.

2.6 შემსყიდველი ვალდებულია პლასტიკური ბარათი შეინახოს მზისგან, ელექტრული და მაგნიტური ველებისაგან (მობილური ტელეფონი, ტრანსფორმატორი, ტელევიზორი და სხვ.) დაცულ ადგილას, ასევე არ მოახდინოს პლასტიკური ბარათის გაღუნვა. მიმწოდებელი არ არის პასუხისმგებელი ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში ბარათის დაზიანებაზე. პლასტიკური ბარათის ფიზიკური დაზიანების ან/და დაკარგვის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს შეიძინოს ახალი ბარათი და ითხოვოს მასზე ბლოკირების შემდეგ არსებული ნაშთების გადატანა. პლასტიკური ბარათის პროგრამულად დაზიანების შემთხვევაში, მიმწოდებელი უსასყიდლოდ დაუმზადებს შემსყიდველს ახალ პლასტიკურ ბარათს.

2.7 ყოველი მომდევნო თვის 10 რიცხვამდე მიმწოდებელი გამოუწერს შემსყიდველს ელექტრონულ ნავთობპროდუქტების სპეციალურ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას (შემდგომში - „ენსაფ") წინა თვეში პლასტიკური ბარათების სისტემით ავტოგასამართი სადგურებიდან ფაქტობრივად გაცემული საწვავის რაოდენობის შესაბამისად. შემსყიდველი ვალდებულია საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით ასევე ელექტრონულად მოახდინოს „ენსაფ"-ის დადასტურება. შემსყიდველს არც ერთი საფუძვლით არ შეუძლია სადავო გახადოს მისი მხრიდან შესაბამისი „ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურების ფაქტი, ვინაიდან შესაბამის ელექტრონულ საშუალებებთან წვდომა გააჩნია მხოლოდ შემსყიდველს, „ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურების პროცესი არ კონტროლდება მიმწოდებლის მიერ და შემსყიდველი თავად განსაზღვრავს იმ პირის ვინაობას, რომელიც უშუალოდ მოახდენს შემსყიდველის მხრიდან „ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურებას.

2.8 მიმწოდებელი უფლებამოსილია დროებით (არაუმეტეს 1,5 საათისა) შეაჩეროს საწვავის გაცემა ამა თუ იმ ავტოგასამართ სადგურზე საწვავის მიღების დროს და მიღების შემდეგ, რათა უზრუნველყოფილ იქნას პერსონალის და მომხმარებლების უსაფრთხოება და საწვავის სათანადო ხარისხი

3. საწვავის ადგილზე (სითხის სახით) მიწოდება მოხდება შემდეგი წესით:

3.1 საწვავის ადგილზე (სითხის სახით) მიწოდება განხორციელდება მხარეთა შორის შეთანხმებულ მისამართზე ტრანსპორტირების გზით.საწვავის ტრანსპორტირების მომსახურების ღირებულების გადახდა ეკისრება მიმწოდებელს.

3.2 შემსყიდველის წერილობითი შეკვეთიდან ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში მიმწოდებელი გამოუწერს შემსყიდველს ელექტრონულ ნავთობპროდუქტების სპეციალურ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას (შემდგომში - „ენსაფ") მოთხოვნილი რაოდენობისა და სახეობის საწვავზე. შემსყიდველი ვალდებულია საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით, ასევე ელექტრონულად მოახდინოს „ენსაფ"-ის დადასტურება არაუგვიანეს მისი ელექტრონულად გამოწერის დღისა, რის შემდეგაც განხორციელდება საწვავის ადგილზე ტრანსპორტირება და შემსყიდველისათვის მიწოდება/გადაცემა. მხარეები აღიარებენ, რომ შემსყიდველის მიერ „ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურების მომენტიდან „ენსაფ"-ით გათვალისწინებული საწვავი ითვლება შემსყიდველის მიერ შეძენილად და შემსყიდველს არა აქვს უფლება სადავო გახადოს ამ საწვავის შეძენის ფაქტი, აგრეთვე ზემოთხსენებულ „ენსაფ"-ში დაფიქსირებული საწვავის სახეობა, რაოდენობა, ფასი და სხვა არსებითი პირობები. ამასთან, შემსყიდველს არც ერთი საფუძვლით არ შეუძლია სადავო გახადოს მისი მხრიდან შესაბამისი „ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურების ფაქტი, ვინაიდან შესაბამის ელექტრონულ საშუალებებთან წვდომა გააჩნია მხოლოდ შემსყიდველს, „ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურების პროცესი არ კონტროლდება მიმწოდებლის მიერ და შემსყიდველი თავად განსაზღვრავს იმ პირის ვინაობას, რომელიც უშუალოდ მოახდენს შემსყიდველის მხრიდან „ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურებას.

3.3 იმ შემთხვევაში, თუკი შემსყიდველი ვერ უზრუნველყოფს 3.2 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში „ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურებას, მიმწოდებელი უფლებამოსილი იქნება ცალმხრივად გააუქმოს შესაბამისი საწვავის შეკვეთა და მოსთხოვოს შემსყიდველს ახალი მოთხოვნის წარმოდგენა, რაც არ შეიძლება მიჩნეულ იქნას მიმწოდებლის მიერ რომელიმე სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევად ან შეუსრულებლობად.

3.4 საწვავის ყოველი მიწოდების შესახებ შემსყიდველი წინასწარ (არანაკლებ 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე) აცნობებს მიმწოდებელს და მიუთითებს მისაწოდებელი საწვავის რაოდენობას. საწვავის მიწოდებისთანავე, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლები აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს, რომელიც წარმოადგენს საწვავის გადაცემის დამადასტურებელ დოკუმენტს.

4. შემსყიდველის მხრიდან და მისი სახელით საწვავის მიღებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირები:

4.1 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ამავე ხელშეკრულების დანართი №4-ის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული საწვავის ტალონების მიღება-ჩაბარების აქტების ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი შემსყიდველის მხრიდან და მისი სახელით არის რუსლან ბოლქვაძე, პ/ნ 61002014658.

4.2 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ამავე ხელშეკრულების დანართი №4-ის 3.4 პუნქტით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების ხელმოწერაზე და საწვავის შემსყიდველის მხრიდან და მისი სახელით მიღებაზე უფლებამოსილი პირი არის რუსლან ბოლქვაძე, პ/ნ 61002014658.

4.3 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მხრიდან და მისი სახელით პლასტიკური ბარათების მიღებაზე და შესაბამისი სასაქონლო ზედნადების ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი არის რუსლან ბოლქვაძე, პ/ნ 61002014658.

4.4 მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულების №4 დანართის 4.1, 4.2 და 4.3 პუნქტებში მითითებული შემსყიდველის წარმომადგენლის/წარმომადგენლების უფლებამოსილება არ შეიძლება გახდეს სადავო შემსყიდველის მხრიდან. შემდგომში ამ პირების უფლებამოსილების გაუქმება ან შეზღუდვა იურუდიულ ძალას შეიძენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელს წერილობით ეცნობება ამის თაობაზე ან თუ მხარეთა შეთანხმებით შესაბამისი ცვლილება შევა ზემოაღნიშნულ პუნქტებში. სხვა პირისათვის ამ უფლებამოსილების მისანიჭებლად ასევე საჭიროა შესაბამისი წერილობითი მინდობილობა ან მხარეთა შეთანხმება.

შემსყიდველი:

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზია და რადიო
მის:ქ. ბათუმი, მ. აბაშიძის ქ. #41
ს/კოდი: 245675880

ნ. ჯაპანაძე

მიმწოდებელი:

ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"
მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #74ბ
ს/ს „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი:TBCBGE22
ა/ა:GE48TB1100000018467453
ს/კოდი: 202161098

ბათუმის სერვის ცენტრის ხელმძღვანელი
რ. ხინთიბიძე

ს. ს. "ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას" გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისი "16" "დეკემბერი" 2016 წ. № 157 / ა

კომპანიაში საწვავის რეალიზაციების პროცედურების ოპტიმიზაციის აუცილებლობიდან გამომდინარე, ზოგიერთი კატეგორიის დოკუმენტზე გენერალური დირექტორის ნაცვლად ხელმოწერის უფლების დელეგირების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. **რამაზ ხინთიბიძეს** - კომპანიის ბათუმის სერვის-ცენტრის უფროსს, 2016 წლის 16 დეკემბრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მიენიჭოს უფლებამოსილება ს.ს. "ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას" სახელით ხელი მოაწეროს:

1.1. აჭარის რეგიონში არსებულ შემსყიდველ ორგანიზაციებთან გასაფორმებელ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებს, მათ შორის ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის CON160000058 და გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულებებს, აგრეთვე, გააფორმოს და ხელი მოაწეროს შეთანხმებებს ზემოთხსენებულ ხელშეკრულებებში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის თაობაზე;

2. ეთხოვოს იურიდიულ დეპარტამენტს იხელმძღვანელოს წინამდებარე ბრძანებით.

ვ. ხორავა

1. ბრძანებას გავეცანი:

ა. სირბილაშვილი

2. ბრძანებას გავეცანი:

თ. კიკვაძე

3. ბრძანებას გავეცანი:

რ. ხინთიბიძე

4. ბრძანებას გავეცანი:

თ. ქერაშვილი

შემსრულებელი

თ. ქარჩავა

16.12.2016 წ.
№ა/12/49

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ უფლებამოსილებას ანიჭებს ამავე კომპანიის ბათუმის სერვის-ცენტრის უფროსს რამაზ ხინთიბიძეს (პირადი №61001008262) ს/ს “ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ სახელით მოაწეროს ხელი შემსყიდველ ორგანიზაციებთან გასაფორმებელ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებს, მათ შორის ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის **CON160000058** და გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულებებს, აგრეთვე გააფორმოს და ხელი მოაწეროს შეთანხმებებს ზემოთხსენებულ ხელშეკრულებებში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის თაობაზე.

მინდობილობა ძალაში შედის 2016 წლის 16 დეკემბრიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

გენერალური დირექტორი ვასილ ხორავა